ხელშეკრულება № 03/59
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი 09.06.2017წ.

ერთის მხრივ "საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოხუმის ილია ვეკუას **ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი**" შემდგომში – "დამკვეთი", დირექტორის გურამ ბოკუჩავას სახით და მეორეს მხრივ **ი/მ სლავიკ ხვიბლიანი**, შემდგომში "შემსრულებელი", ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ინსტიტუტის ძირითად კორპუსში 20კვ.მ. მეტლახის დაგება. (კოდი: 45431100)

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 360 (სამას სამოცი) ლარს.

3. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. სამუშაოს შესრულების ვადები

სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრება (09.06.2017-15.06.2017).

5. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესრულებული სამუშაოს მიღება ფორმდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისას მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება „დამკვეთისა" და „შემსრულებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1 „შემსრულებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
6.2 ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელსეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მახარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
7.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საეთო ღირებულების 0,1% ოდენობით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 09.06.2017-დან 14.07.2017-მდე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.
9.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავინთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„დამკვეთი“	„შემსრულებელი“
სსიპ სოხუმის ი. ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი მისამართი: ქ.თბილისი, მინდელის ქ.№7 ს/კ 249250821 “ვი-თი-ბი“ ბანკი ჯორჯია კოდი: UGEBGE22 ა/ა GE68VT66 0000 0000 3134 08	ი/მ სლსვიკ ხვიბლიანი მისამართი: ქ. ზუგდიდი, ს. ნარაზენი სვანეთის ქ. 28 ს/კ 19001099317 „საქართველოს ბანკი “ კოდი: BAGAGE22 ა/ა GE51BG0000000164168900
დირექტორი: გურამ ბოკუჩავა	ი/მ: სლავიკ ხვიბლიანი